კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გელა გიორგაძე

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სამხედრო გამოწვევები

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი

ალიკა გუჩუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 25 იანვარს, 15:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **პეტრე მამრაძე.**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. XXI საუკუნეში მსოფლიო მასშტაბით მშვიდობის შენარჩუნება, კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში წარმოებულმა ომებმა და ბრძოლის წარმოების კუთხით ახალი რეალიების გაჩენამ, კონფლიქტების პრევენცია, თანამედროვე პოლიტიკური დებატების ცენტრალურ სფეროდ ჩამოაყალიბა. სახელმწიფოთა მხრიდან, შეიარაღების კუთხით მიმდინარე რბოლა, რომელიც გლობალიზაციის პროცესთან ერთად მიმდინარეობს, უსაფრთხოების სექტორს, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა დაკავშირებულია საინფორმაციო რევოლუციასთან. ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე, გამოწვევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის. სწრაფად ცვალებადი სამყაროს პირობებში ყოველთვის იარსებებენ ე.წ. გამარჯვებულები და დამარცხებულები, შესაბამისად უსაფრთხოების დილემაც, გარკვეულწილად დაკავშირებული იქნება საზოგადოების იმ ფენასთან, რომელიც თავს დამარცხებულად ჩათვლის. პოლიტიკისა და უსაფრთხოების სექტორის პრივატიზაციის მცდელობა, ბრძოლის წარმოება ჰიბრიდული მეთოდებით,

ძალაუფლების დეცენტრალიზება და ომსა და მშვიდობას შორის „რუხი ზონების” გაჩენა, მომავალი ათწლეულების განმავლობაში განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება საერთაშორისო დონეზე, ომების წარმოების კუთხით.

თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბების ფონზე, სავარაუდოა ვიხილოთ ომის წარმოების სამი მიმართულება: „ფორმალური”, „არაფორმალური” და „რუხი ზონის ფენომენი”.

ფორმალური ომის შემთხვევაში, ადგილი ექნება სახელმწიფოთა შორის გამოცხადებულ ომს, რომელიც წარიმართება ინფორმაციული და ტექნოლოგიური უპირატესობის ფონზე და რომლის ფარგლებშიც, ძალის მულტიპლიკატორის როლი, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით იქნება მნიშვნელოვანი.

არაფორმალური ომის შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტი გაიმართება, სახელმწიფოსა და არასახელმწიფო ერთეულს შორის, რომლის ფარგლებშიც ომი დაეფუძნება ეთნიკურობას, რეგიონალიზმის გარკვეულ კომბინაციას, ეკონომიკურ ინტერესებს, ცალკეულ პიროვნებებსა და იდეოლოგიურ მიდგომებს, რომლებიც ფორმალური ომისგან

განსხვავებით, კომბინირებულობითა და ფარულობით იქნება გაჯერებული.

„რუხი ზონის ფენომენის” შემთხვევაში, ბრძოლა იწარმოებს სახელმწიფო სტრუქტურებსა და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებრივ სტრუქტურებს შორის, რომელთა მოქმედების არეალიც არ იქნება შემოფარგლული, მხოლოდ სახელმწიფოს სუვერენულად აღიარებული საზღვრებით, შესაბამისად მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურებით, შესაძლო საფრთხეების განეიტრალება, შესაძლებელია არაეფექტური აღმოჩნდეს.

აღსანიშნავია, რომ ცივი ომის დასრულებამ მსოფლიოში მშვიდობა არ მოიტანა. პირიქით, მისი დასრულება გარკვეულწილად, იმპერიული ომების ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა.

გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგის პირობებში, იზრდება საერთაშორისო საზოგადოების როლი და ადგილი, გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით, შესაბამისად სტრატეგიული, თუ სხვა დონის ღონისძიებების დაგეგმვისას, საზოგადოების ფასეულობათა სისტემის განსაზღვრა და მისი

დაცვა საინფორმაციო ველში, საკითხის კომპლექსურ გააზრებასა და სინქრონულ მოქმედებებს საჭიროებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში, თანამედროვე გეოსტრატეგიის ტენდენციების გარკვევა და ახალი, თვისობრივად განსხვავებული სამხედრო გამოწვევების წარმოჩენა. კვლევაში განხილულია უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორია, შესაბამისად თეორიაზე დაყრდნობით შევეცდებით ავხსნათ ის მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უსაფრთხოების გარემოზე.

ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად დავსახეთ შემდეგი **ამოცანები:**

- ახალი სახის სამხედრო გამოწვევების როლი, გეოსტრატეგიული დაგეგმარების პროცესისთვის;
- ჰიბრიდული სამხედრო საფრთხიდან მომდინარე რისკების შეფასება და გაანალიზება;

- თანამედროვე სამყაროში, ახალი თვისობრივად განსხვავებული სამხედრო საფრთხეების ფონზე, ფასეულობათა სისტემის მნიშვნელობის გააზრება;
- ასიმეტრიული საფრთხის ფენომენის წარმოჩენა, კვლევა და ანალიზი;
- გეოსტრატეგიული ამოცანების აღწერა, სამხედრო კონფლიქტების, ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლა და გაანალიზება.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით, პასუხი გავცეთ ქვემოთ მოცემულ საკვლევ კითხვებს, რომლებიც შემუშავებულია დასახული მიზნის მისაღწევად:

- სამხედრო გამოწვევების რაობა, თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში ?
- რა განსაზღვრავს ჰიბრიდული საფრთხის მნიშვნელობას, სამხედრო კონფლიქტების წარმოშობისას ?
- რას წარმოადგენს ჰიბრიდული ომის თეორია, როგორც თანამედროვე სამხედრო გამოწვევა გლობალურ დონეზე ?
- ეროვნული უსაფრთხოებისთვის, რა საფრთხეებს წარმოადგენენ არა სახელმწიფო აქტორები ?

ნაშრომის ჰიპოთეზა:

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოებაში, ახალი ჰიბრიდული სამხედრო საფრთხის გამოწვევა, გავლენას ახდენს სამხედრო - პოლიტიკური კონფლიქტების განვითარებაზე. ჰიბრიდული ომი, როგორც ახალი მოვლენა, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს, საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესის მიმდინარეობასა და შედეგზე.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი - ახალი სახის სამხედრო გამოწვევები, განსაკუთრებით ჰიბრიდული საფრთხის ფონზე.

კვლევის ობიექტი - თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა, არსებული გეოსტრატეგიული გარემოს პირობებში.

თემის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს სამეცნიერო მეთოდოლოგიური საფუძვლების ახალი სახით გააზრებაში. სამხედრო ტერმინოლოგიაში განსაზღვრულია „კვაზისახელმწიფოებრივი აქტორის" ცნება და გამოკვეთილია მისი როლი და ადგილი გეოსტრატეგიულ კონტექსტში. აკადემიური კუთხით, განხილულია „მეოთხე

თაობის ომის” კონცეფცია. წარმოჩენილი და კლასიფიცირებულია ასიმეტრიული საფრთხეების სამხედრო ასპექტები და განხილულია კონკრეტულად, სამხედრო საფრთხეების რაობა „თალიბანის” მაგალითზე. პოლიტიკური ანალიზის ფორმატში, წარმოჩენილი და ასახულია თანამედროვე ომების განვითარების და ტრანსფორმაციის ისტორიულ - პოლიტიკური ასპექტები. ოთხი თაობის მოდალურობის ფარგლებში, გამოვლენილია თანამედროვე ომების განვითარების ეტაპები. გაანალიზებულია ჰიბრიდული ომის გეოსტრატეგიული მომენტები. მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში, პოლიტიკური მეცნიერების კუთხით, განხორციელდა კორელაცია განვითარებულ სამხედრო - ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს შორის.

კვლევის ფარგლებში, მიდგომებისა და მეთოდების გამოყენების მიზანს წარმოადგენდა, საკითხის იმ ფორმით წარმოჩენა, რომ არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებას, არამედ ზოგადად თემით დაინტერესებულ მკითხველს, მისცემოდა საკითხის სწორად აღქმის შესაძლებლობა.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სამხედრო გამოწვევებით დაინტერესებულ პირებს, ახალი რაკურსით გააცნოს საკვლევ თემაში განხილული საკითხები და გარკვეული წვლილი შეიტანოს უსაფრთხოებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში.

თემა აქტუალურია, თუმცა მეცნიერული კუთხით არასაფუძვლიანად შესწავლილი, აქედან გამომდინარე, ხორციელდება თემატიკის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია:

კვლევის ფორმატში გამოყენებულ იქნა, არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა და ისტორიული წყაროები, რომელთაც თემის შესწავლისა და გაანალიზების პროცესში, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის ძირითად თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენენ, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების ისეთი თეორიები როგორიცაა:

- „ჰიბრიდული ომის თეორია" - ფრანკ ჰოფმანის ჰიბრიდული ომის თეორია, ძირითადად ეფუძნება თანამედროვე კონფლიქტების რაობას, რომლის ფარგლებშიც აქცენტი კეთდება ჰიბრიდული ომის არა, როგორც სამომავლო შესაძლო სტრატეგიულ გამოყენებაზე, არამედ, როგორც 21-ე საუკუნის უკვე არსებულ გამოწვევაზე.[1]
- „ძალთა ბალანსის თეორია" - მოიცავს, ძალთა ბალანსის ჩამოყალიბების სურვილს, რომელიც ეფუძნება რაციონალურ მიდგომას - სახელმწიფოს სწრაფვას გადარჩენისკენ (ძალთა ბალანსთან მიმართებით კლასიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის მთავარი განმასხვავებელიც სწორედ ესაა). კლასიკური და ნეოკლასიკური რეალისტები მიიჩნევენ, რომ ძალთა ბალანსის შექმნა, საჭიროებს

[1]ბუტიკაშვილი, გ. *„რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია",* კონრად ადენაუერის ფონდი, რუსეთის კვლევის ცენტრი 2021. https://www.crs.ge/academic-essays-2021ka/giorgi-butikashvili (29.06.2022).

ინდივიდუალურ დონეზე გამჭრიახი ლიდერების არსებობას.[2]

- „სეკურიტიზაციის თეორია" - სეკურიტიზაციის ფარგლებში საკითხი წარმოდგენილია, როგორც ეგზისტენციალური საფრთხე, რომელიც მოითხოვს, საზოგადოებრივი თანხმობის მიღების მიზნით, განსაკუთრებული ზომების გატარებას, რათა მხარდაჭერილ იქნეს პოლიტიკური პროცესი. სეკურიტიზაცია შესაძლებელია მოხსენიებულ იქნას, პოლიტიზირების ექსტრემალურ ფორმად.[3]
- „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია" - ამერიკელმა მკვლევარმა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში რიჩარდ კოენმა, შემოგვთავაზა უსაფრთხოების ისეთი მოდელი, რომელიც იდეალიზირებულ ქვაკუთხედს ეფუძნება. თანამშრომლობითი უსაფრთხოების კონცეფცია შედგება ოთხი მოდელისგან: ინდივიდუალური

[2]აკობია, ე., თვალავაძე, რ., ტარასაშვილი, მ., კაკაშვილი, ლ., მოსიძე, თ. *„საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები"*, I გამოცემა, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

[3]აკობია, ე., თვალავაძე, რ., ტარასაშვილი, მ., კაკაშვილი, ლ., მოსიძე, თ. *„საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები"*, I გამოცემა, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა და სტაბილურობის მიღწევა.[4]

- „კონსტრუქტივიზმის თეორია" - საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური მიმართულებების ალტერნატიულ ახსნას გვთავაზობს, რომლის ფარგლებშიც, სოციალური რეალობა იქმნება ღირებულებების შესახებ დისკუსიით, ხოლო საგარეო პოლიტიკა მიზანშეწონილია იმართებოდეს ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტებით. ზემოაღნიშნული თეორია, სწავლობს იდეოლოგიების, იდენტობებისა და ტრანსნაციონალური ქსელების როლს.[5]

საკითხის შესასწავლად გამოყენებული კვლევის მეთოდები

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა, კვლევის თვისებრივი მეთოდი - დედუქციური ანალიზის მეშვეობით, რაც გულისხმობს თეორიის საფუძველზე წინასწარი ჰიპოთეზის შემუშავებას, ანალიზსა და კვლევის

---

[4]გუჩუა, ა. *„სტრატეგიული დამრტყმელი შეიარაღება და მისი განმსაზღვრელი პოლიტიკა ევროატლანტიკური უსაფრთხოების გეოსტრატეგიის კონტექსტში: ნატო და მასობრივი განადგურების იარაღი",* დისერტაცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020.

[5]აკობია, ე., თვალავაძე, რ., ტარასაშვილი, მ., კაკაშვილი, ლ., მოსიძე, თ. *„საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები",* I გამოცემა, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.

შედეგად ჰიპოთეზის დადასტურებას ან უარყოფას, ხოლო ძირითად მეთოდად გამოყენებულ იქნა, შემთხვევის შესწავლა.

გაანალიზებულ იქნა შესაბამისი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა: წიგნები, სტატიები და პუბლიკაციები, რომლის ფარგლებშიც ყურადღება დაეთმო „კვაზისახელმწიფოებრივი აქტორებისგან" მომდინარე საფრთხეებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნაშრომში გამოყენებულ იქნა, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ისეთი კონკრეტული მეთოდები, როგორიცაა:

- პირველადი წყაროები - უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზი;
- მეორეული წყაროები - საკითხთან მიმართებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და ისტორიულ - აღწერილობითი ანალიზი;
- შედარებითი კვლევის ანალიზი;
- მონაცემთა ანალიზი;
- შემთხვევის შესწავლა „CASE STUDY" მეთოდი;
- „SWOT" ანალიზი;

- ჩაღრმავებული ინტერვიუ - დარგის სპეციალისტებთან;
- კონტენტ - ანალიზი, კვლევის შედეგების ანალიზი.

კვლევის მიმდინარეობისას, ჩატარებულ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან (გამოიკითხა ხუთი ექსპერტი).

აღსანიშნავია, რომ კვლევის თემატიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე, გამოყენებული მეთოდები დაგვეხმარა ნაშრომის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საკითხის შესწავლისას, განვიხილეთ რამდენიმე ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ნაშრომი და დოკუმენტი, რომლებშიც გადმოცემულია ავტორთა ხედვები, თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ.

საერთაშორისო უსაფრთხოების სამხედრო გამოწვევების განხილვისას გამოვიყენეთ, გ. მაღრაძის, ვ. მაისაიას, ა. გუჩუას, მ. ვეისმანის, ნ. ნილსონის, ბ. პალმერცის, პ. თუნჰოლმის და სხვ. სამეცნიერო ნაშრომები, ასევე, საინფორმაციო და ანალიტიკური მასალები და ოფიციალური დოკუმენტები.

კონფლიქტის წარმოშობისა და მართვის განხილვის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, გ. ფ. ვეისის „ომის ახალი ხელოვნება: კონფლიქტის წარმოშობა, თეორია და მომავალი", მ. ბანასიკის „უსაფრთხოება და ჰიბრიდული ომი: რუსეთის ფედერაციის ახალი მეტოქეობის პარადიგმა საერთაშორისო არენაზე", კ. გრეის „ეროვნული უსაფრთხოების დილემა გამოწვევები და შესაძლებლობები", რ. დონროიტერის „საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგი".

დამატებით, განვიხილეთ პ. ჰოუგის, ბ. პილმეაბის, ვ. სტოკის ნაშრომი „საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია და პრაქტიკა", რომლის ფარგლებშიც დეტალურად არის განხილული, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალისა და სირიის სამოქალაქო ომის საკითხები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადოქტორო ნაშრომი **„თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სამხედრო გამოწვევები"**, წარმოდგენილია A4-ფორმატით, 160 გვერდზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ათი ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I: სამხედრო გამოწვევები და გლობალური გეოსტრატეგიული გარემოს პირობები XXI საუკუნეში (ქვეთავები: I.I. სამხედრო გამოწვევების არსი და მათი კლასიფიკაცია - თეორიული ჩარჩო და მისი მოდელები; I.II. „კვაზისახელმწიფოებრივი აქტორები" - საერთაშორისო უსაფრთხოების დილემა; I.III. ჰიბრიდული ომის ფენომენი - ახალი სამხედრო გამოწვევა).

სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია, თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბების ფონზე არსებული გამოწვევები, ასევე, გამოვლენილია საერთაშორისო საზოგადოების როლი გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების პროცესში და განხილულია საზოგადოების ფასეულობათა სისტემა, რომლის დაცვაც კომპლექსურ გააზრებასა და სინქრონულ მოქმედებებს საჭიროებს.

ნაშრომის შესავალ ნაწილში გადმოცემულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზა, საგანი და ობიექტი, თემის დამუშავების დროს გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა, დისერტაციის სტრუქტურა და ლიტერატურის მიმოხილვა.

პირველი თავის პირველ პარაგრაფში აღწერილია, გლობალური გეოსტრატეგიული გარემოს პირობებში, უსაფრთხოების პოლიტიკის ევოლუცია და ომის წარმოების მეთოდები.

დამატებით დეტალურად გავაანალიზეთ, თუ რა არის უსაფრთხოება და რა წარმოადგენს მის მთავარ რეფერენტს, XXI საუკუნეში.

პირველი თავის მეორე პარაგრაფში განვიხილეთ საფრთხეებისა და რისკების არასწორი აღქმის შემთხვევაში, რა სახის გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფო, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, როდესაც მოწინააღმდეგე მხარედ „კვაზისახელმწიფო" გვევლინება.

პირველი თავის მესამე პარაგრაფში გაანალიზებულია ჰიბრიდული ომის ფენომენი, როგორც სამხედრო გამოწვევის

ახალი მოდელი. განვმარტეთ ჰიბრიდული ომის ძირითადი ასპექტები: კომბინირებულობა, ფარულობა, სირთულე და მრავალმხრივობა.

დამატებით ყურადღება გავამახვილეთ მოცემულობაზე, რომელიც ე.წ. „რბილი ძალის" გამოყენებით (არასამხედრო საშუალებები, კომუნიკაცია, კულტურული მიმზიდველობა) ვრცელდება.

თავი II. ახალი თაობის ომის კონცეფცია, მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის პირობებში (ქვეთავები: II.I. ომების განვითარების ისტორიული მომენტები; II.II. სამხედრო - ტექნოლოგიური რევოლუცია; II.III. მეოთხე თაობის ომის კონცეფცია და თავისებურებები).

მეორე თავის პირველ პარაგრაფში აღწერილია ომების განვითარების ისტორიული მომენტები და ომის ევოლუციისადმი კლაუზევიცის ხედვა, რომელიც გარკვეულწილად ეყრდნობოდა „მოქალაქე უნიფორმაში" ფორმულირებას. ომის ევოლუციასთან ერთად, დამატებით განვიხილეთ თანამედროვე სამყაროში ომის მიმართ არსებული მიდგომები.

მეორე თავის მეორე პარაგრაფში გავაანალიზეთ სამხედრო - ტექნოლოგიური კუთხით მიმდინარე პროგრესი, თუმცა

ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით, აქცენტი გაკეთდა, არა იმდენად დროში ასახულ სისწრაფეზე, არამედ ცვლილებების შედეგად მიღებულ მასშტაბზე. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში გამოწვეულმა მიღწევებმა, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ხელოვნური ინტელექტის, სუფთა ენერგიის, ვირტუალური რეალობისა და ბიოტექნოლოგიის სახით, შექმნა ახალი სამხედრო რევოლუციის მთავარი ასპარეზი.

მეორე თავის მესამე პარაგრაფში განხილულია მეოთხე თაობის ომის კონცეფცია და თავისებურებები. მეცნიერთა უმეტესობისთვის, მეოთხე თაობის საომარი მოქმედებები წარმოადგენს ომს მორალურ, ფიზიკურ და გონებრივ განზომილებაში, რომლის ფარგლებშიც მოქმედება მიმდინარეობს ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე, ხოლო კონფლიქტს გააჩნია დამოუკიდებელი ძალაუფლების ცენტრი.

თავი III. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების პარადიგმა და გეოსტრატეგიული მიდგომები (ქვეთავები: III.I. ასიმეტრიული საფრთხის ფაქტორი; III.II. ახალი სამხედრო საფრთხის გეოპოლიტიკური ანალიზი, თალიბანის სამხედრო - პოლიტიკური მოძრაობა, ავღანეთის მაგალითზე; III.III. სამხედრო - სამართლებრივი და პოლიტიკური მიდგომები XXI

საუკუნეში; **III.IV. ექსპერტული კვლევა და ანალიზი.**

მესამე თავის პირველ პარაგრაფში ნაჩვენებია ასიმეტრიული საფრთხეებიდან მომდინარე რისკები, კონფლიქტების მოგვარების თავისებურებანი და მათი დარეგულირების თეორიული საფუძვლები, რათა შევძლოთ არსებული გეოპოლიტიკური ვითარების ეფექტურად მართვა.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში განხილულია ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს ან არშემდგარი სახელმწიფოს რეალიები, აგრეთვე, შევაფასეთ სახელმწიფოს სამი ძირითადი ელემენტი: მოსახლეობა, ტერიტორია და სტრუქტურები.

მესამე თავის მესამე პარაგრაფში გაანალიზებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებმა განსაზღვრეს საზღვრები, გავლენის სფეროები, შეიარაღების კონტროლისა და რეგულირების საკითხები, ომის წარმოების წესები და ა.შ. დამატებით, განვმარტეთ გლობალური და ეროვნული უსაფრთხოება, რომლის ფარგლებშიც შევეხეთ იმ გამოწვევებს, რომლებიც თანხვედრაშია გლობალიზაციის პროცესთან.

მესამე თავის მეოთხე პარაგრაფში განვიხილეთ და გავაანალიზეთ ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები. ჰიპოთეზის დადასტურების შედეგად, ჩამოყალიბებულია პასუხები საკვლევ კითხვებზე და წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

დასკვნა

XXI საუკუნეში საფრთხეების განზომილება მნიშვნელოვნად გაზრდილია. რისკფაქტორების შეფასებისა და ეფექტური მექანიზმების შემუშავების მიზნით, სახელმწიფოებს უწევთ კოალიციების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის შესაძლებლობა კოალიციის ფარგლებში, საფრთხის განეიტრალების მეტ შესაძლებლობას იძლევა, სასურველი შედეგის მიღწევა ყოველთვის ვერ ხერხდება. კვლევის ფარგლებში აღწერილ იქნა ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც საფრთხის პრევენციის კუთხით, გარკვეულწილად ხელის შემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში საფრთხეებისა და გამოწვევების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არსებული მომენტისთვის

ვაკვირდებით, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ევოლუციას, რომელშიც შეზღუდულია თანამშრომლობა გლობალურ მოთამაშეებს შორის. აქვე ყურადღება გასამახვილებელია, იმ მარტივ მოცემულობაზე, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო უსაფრთხოების დონე, გლობალური მსოფლიო წესრიგის ფარგლებში მნიშვნელოვნად შემცირებულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გასათვალისწინებელია, რომ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, თანამშრომლობისა და ნდობის ფაქტორებზე დამყარებული ურთიერთობა და მუდმივი დიალოგი, წარმოადგენს იმ მარტივ ფორმულას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს, თანამედროვე უსაფრთხოების კუთხით მომდინარე სამხედრო საფრთხეების განეიტრალებას:

- საწყის ეტაპზე უმნიშვნელოვანესია, რომ შესაბამისმა უწყებებმა შეიმუშაონ დეტალური სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც გაწერილი იქნება მოქმედებები ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე და რომელიც გათვლილი იქნება მოკლე, საშუალო და გრძელვადიან დროის მონაკვეთზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ დეტალურად უნდა იქნეს შეთანხმებული, როგორც პასუხისმგებელი

ორგანოების, აგრეთვე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და ამოცანები;

- ჰიბრიდული ომისგან თავდაცვა მოითხოვს ფუნდამენტურად განსხვავებულ აზროვნებასა და ეროვნულ დონეზე ელემენტების სრულყოფილ კოორდინაციას. გასათვალისწინებელია, რომ ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ, სამოქმედო გეგმის აღსრულება, მოითხოვს შემოქმედებით პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას. პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები პასუხისმგებელნი არიან განსაზღვრონ ეროვნული მიზნები, ეფექტური მართვა გაუწიონ სტრატეგიული გეგმების აღსრულებასა და რესურსების მიზანმიმართულ გადანაწილებას;
- სისტემურ დონეზე ძალაუფლების კონსოლიდაციის გამო, ერების უმეტესობა ცდილობს გააცნობიეროს საკუთარი პოლიტიკური ინტერესები. ვინაიდან ჰიბრიდული ომის ტაქტიკა და გამოყენების შესაძლებლობები, ბრძოლის წარმოების არსებული ნორმების ფარგლებში არ ჯდება, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ძალისხმევა მივმართოთ ერთის მხრივ ეროვნული თვითშენარჩუნების შესაძლებლობების

გაზრდის და მეორეს მხრივ სოციალური ერთიანობის გაძლიერების მიმართულებით;

- ტექნოლოგიური საშუალებებისა და კომუნიკაციების განვითარებასთან ერთად, იზრდება მათგან მომდინარე რისკის ფაქტორიც. ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამხედრო - ტექნოლოგიურ უპირატესობას. ახალი თაობის ომების წარმოებისას გამოიკვეთა საომარ მოქმედებათა ფართო სპექტრი, რომელიც „ოთხი ომის თაობაში" მოძრაობს;
- ახალი სამხედრო რევოლუცია წარმოადგენს კიდევ ერთ კვანტურ ნახტომს ბირთვული იარაღის დაბადების შემდეგ, რომელსაც თან ახლავს უპრეცედენტო შესაძლებლობები. უპირველეს ყოვლისა ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ტექნოლოგიური მიღწევები, შეძლებს დაიცვას საკუთარი ინტერესები, უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების წინააღმდეგ. არსებული რეალობიდან გამომდინარე, სახელმწიფოები, რომელთაც ტექნოლოგიური რევოლუციის ნაცვლად, აქცენტი გადატანილი აქვთ მოძველებულ აღჭურვილობასა და შეიარაღებაზე,

საფრთხეების განეიტრალების კუთხით, შესაძლებელია აღმოჩნდნენ გამოწვევის წინაშე. სამწუხარო რეალობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჰიბრიდული ომის პირობებში, მხოლოდ არსებული ტაქტიკით, იმ მასშტაბის საფრთხის განეიტრალება, რომელიც აგრესიული და ამავდროულად ძლიერი აქტორიდან შეიძლება მომდინარეობდეს, ფაქტობრივად საწყის ეტაპზევე ამცირებს თავდაცვის შანსს. სწორი აქცენტების დასმა განსაკუთრებით მწირე რესურსების მქონე ქვეყნებისთვის, უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს. ახალი ტექნოლოგიების განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ საკმაოდ სერიოზულ რესურსებს, არამედ თანმიმდევრულ პოლიტიკასაც. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ მოქმედებათა სივრცე შეუზღუდავი, ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადია, ხოლო ზიანი შესაძლებელია მიადგეს არა მხოლოდ საზოგადოების რომელიმე ნაწილს, არამედ სრულად სახელმწიფოს;

- გეოპოლიტიკურ საფრთხის მოდელზე, რომელიც თალიბანის მაგალითზე შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, აღსანიშნავია, რომ მათ შეძლეს ის,

რაც რიგ სამხედრო ანალიტიკოსსა, თუ უსაფრთხოების მკვლევარს ვერ წარმოედგინა. მრავალწლიანი სასტიკი დაპირისპირების შემდეგ, თალიბანმა შეძლო კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნება და ძველი მეთოდებით პოლიტიკის წარმოება, ხოლო ძალისხმევა და მსხვერპლი, რომელიც წლების განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოების მიერ იქნა გაწეული, სამწუხარო ფაქტად გვევლინება. არაერთი ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა იმ შედეგის დადგომა, რომელიც ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში განვითარდა. ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გადამზადება, მათი მატერიალურ - ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა, ფინანსური დახმარების გაწევა და დასავლური იდეოლოგიით საზოგადოების ჩამოყალიბება, არასაკმარისი აღმოჩნდა ისეთი იდეოლოგიის მქონე მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, რომელიც ყველა ზემოაღნიშნული პარამეტრით, ჩამორჩებოდა განვითარებული დასავლეთის ქვეყნებს. მისიის წარმატება, იმ მოქმედებებისა და პოლიტიკის

საფუძველზე, რომელიც წლების განმავლობაში კოალიციაში შემავალი სახელმწიფოების მხრიდან ტარდებოდა, სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, თუნდაც იმ მარტივი მოცემულობის გამო, რომელიც ავღანეთში მცხოვრები საზოგადოების ფასეულობათა ცვლილებასთან იყო დაკავშირებული. ქვეყნის ჩამოყალიბება, მუდმივი საომარი ვითარების ფონზე, სადაც საზოგადოების ცხოვრების წესს, გარკვეულწილად რელიგიური ფაქტორი განსაზღვრავს, საკმაოდ რთულ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად პროცესის მართვა მხოლოდ მატერიალურ - ტექნიკური უპირატესობის ფონზე, წარმატების საფუძველი ვერ იქნება;

- მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს, რომ გეოპოლიტიკური ინტერესების ცვალებადობასთან ერთად სახელმწიფოებს უწევთ საკუთარი პრიორიტეტების გადახედვაც. სახელმწიფოებში მმართველი ელიტის ცვლილებასთან ერთად, შესაძლებელია რადიკალურად ან ნაწილობრივ შეიცვალოს, წინა ხელისუფლებისგან მნიშვნელოვნად მიჩნეული გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური კურსი;

- XX საუკუნეში სამხედრო საფრთხეების განეიტრალება საკმაოდ რთულ პროცესებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან სახელმწიფოები ისევე, როგორც საუკუნეების მანძილზე, იბრძვიან ტერიტორიების, რესურსების, ძალაუფლების, გავლენის სფეროების, იდეოლოგიისა თუ რელიგიის გავრცელებისთვის, ხოლო რაც შეეხება ცალკეულ არასახელმწიფო აქტორებს, სეპარატისტებს, ტერორისტებს, კრიმინალურ ჯგუფებს და ა.შ, მათ სხვადასხვა წინააღმდეგობის და ბრძოლის მოტივები გააჩნიათ, რომელიც ხშირ შემთხვევაში, თანხვედრაშია სახელმწიფოების პოლიტიკურ ინტერესებთან. ქაოსურ და გაუთვლელ მოქმედებებს, ნებისმიერი, თუნდაც მცირე ზომის კონფლიქტის, ფართომასშტაბიან ომად გადაქცევა შეუძლია, ხოლო დასასრულის განსაზღვრა, როგორც ეს წარსულმა უკვე გვიჩვენა, შეუძლებელია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, სამხედრო ძალა კვლავ რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად, როგორც ეროვნული, აგრეთვე გლობალური უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. გრძელვადიან პერსპექტივაში, ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით,

რაიმე ძირეული ცვლილების განხორციელება, პრაქტიკულად გამორიცხულია, შესაბამისად ძალის გამოყენება, ჰიბრიდული მეთოდების მეშვეობით, მომავალშიც დარჩება მთავარ ინსტრუმენტად და უსაფრთხოების კუთხით მთავარ გამოწვევად.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი სემინარი.

სამი კოლკვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი):

1. **კოლოკვიუმი** - I. სამხედრო გამოწვევები და გლობალური გეოსტრატეგიული გარემოს პირობები XXI საუკუნეში;

2. **კოლოკვიუმი** - II. ახალი თაობის ომის კონცეფცია, მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის პირობებში;

3. **კოლოკვიუმი** - III. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების პარადიგმა და გეოსტრატეგიული მიდგომები.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს):

- **„ნატო 2030", ახალი სტრატეგია და უსაფრთხოების გეოპოლიტიკა.**

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. *„The asymmetric threats in global security and the military-political aspects of biosecurity",* Ante Porta's - Security Studies 2021, No 2(17) DOI: 10.33674/220215.
2. *„Geopolitics of the Russia-Ukraine War and Russian Cyber Attacks on Ukraine-Georgia and Expected Threats",* Journal: Ukrainian Policymaker, 20/2022, N 10, P. 27-36.
3. *„Geostrategic Aspects of the Transnistrian Conflict in Aegis of the Eurasia Geopolitics",* Institutul de Dezvoltare a Societății Informaționale, 2022.
4. *„Russia's Hybrid War Against the USA-Meddling 2016 Election and Geopolitical Consequences for New Cold War", IBSU, 13th Edition, 2022.*

5. *„თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების კლასიფიკაცია და მათი როლი მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში", Environment and Society, No. 4, July, 2022, pp.185-204.*
6. *„ფორმალური ზოგადი განათლება და კონფლიქტების ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში",* განათლების მეცნიერება, 25.01.2023წ.
7. *„საქართველოს გეოპოლიტიკური გამოწვევები", ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება, შრომების კრებული, N 4, 2023წ.*

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

1. *„Russia`s Hybrid War Against the USA – Meddling 2016 Election and Geopolitical Consequences for New Cold War".*

   სამეცნიერო კონფერენცია - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2022წ.
2. *„Deutschland nach der Zeitenwende. Außenpolitik in einer unsicheren Welt".*

   სამეცნიერო კონფერენცია - ჰამბურგის უნივერსიტეტი, 2022წ.

3. „Black Sea Region at the Crossroads of Civilizations". სამეცნიერო კონფერენცია - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022წ.
4. *„საქართველოს გეოპოლიტიკური გამოწვევები".* სამეცნიერო კონფერენცია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრი, 2023წ.

Coucasus International University

Faculty of Social Sciences and Humanities

Doctoral Educational Program in Political Sciences

Rigt of Authorship

Gela Giorgadze

Military challenges of modern international security

Abstract dissertation Presented for degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0142, Georgia

2024

Scientific Supervisor:

Vakhtang Maisaia

Doctor of Political Science,

Professor at Caucasus International University

Official Reviewers:

Levan Nikoleishvili

Doctor of Political Science,

David Aghmashenebeli National Defence Academy

Alika Guchua

Doctor of Political Science,

Caucasus International University

The defense of the dissertation will take place on January 25, 2024, at 15:00 in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social Sciences and Humanities.

Address: 0141, Tbilisi, Chargali Street N 73, Caucasus International University, Building I, Room 305.

The dissertation is available in the library of Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board **Petre Mamradze,** Associate Professor of the Caucasus International University.

Annotation

In the dissertation, we represent the challenges, behind the formation of modern security architecture. It also identifies the role of the international community in the process of maintaining global security, the protection of which requires complex understanding and synchronized action.

Our scientific work consists of an introduction, three chapters, ten paragraphs, expert's research and a conclusion. A list and references of the used literature are attached to the work.

In the introduction of our dissertation we focus on the actuality of the topic, the purpose and objectives of the research, exploring issues, hypotheses, a subject and an object, the methodology and methods used for the studding and analyzing the topic, scientific novelty and practical significance of the work as well as the dissertation structure and literature review.

In the first paragraph of the first chapter, we describe the evolution of security policy and methods of warfare in the global geostrategic environment are described. We analyzed in more detail what security is and what constitutes its main referent in the 21st century.

In the second paragraph of the first chapter we discussed what kind of challenges the state may face in case of misperception of threats and risks, especially when the opposing party is a „quasi-state".

In the third paragraph of this chapter, the phenomenon of hybrid warfare is analyzed as a new model of military challenge.

Main aspects of hybrid warfare: combination, stealth, complexity and versatility are explained.

In the first paragraph of the second chapter are described the historical moments of the development of wars and Clausewitz's vision of the evolution of war, which was somewhat based on the formulation of "citizen in uniform", Along with the evolution of war, we additionally discussed the current approaches of the modern war in world.

In the second paragraph of this chapter, we analyzed the current progress from the military-technological point of view, however, in relation to the above-mentioned issue, the emphasis was not so much on the speed reflected in time, but on the scale obtained as a result of the changes. Advances in science and technology, mainly in the form of artificial intelligence, clean energy, virtual reality, and biotechnology, have created the main arena for a new military revolution.

In the third paragraph of the second chapter, the realities of the Islamic Republic of Afghanistan as a state or non-state have been discussed, and we have evaluated the three main elements of the state: population, territory and structures.

In the first paragraph of the third chapter, are described the risks arising from asymmetric threats, the peculiarities of conflict resolution and the theoretical bases of their regulation are shown in order to be able to effectively manage the current geopolitical situation.

In the second paragraph of the third chapter we discussed the realities of the Islamic Republic of Afghanistan as a state or non-state have been discussed, and we have evaluated the three main elements of the state: population, territory and structures.

In the third paragraph of the third chapter several important treaties have been analyzed, according to which the states have defined borders, spheres of influence, issues of arms control and regulation, rules of warfare, etc. In addition, we explained global and national security, within which we touched on the challenges that coincide with the process of globalization.

In the last paragraph, we discussed and analyzed in-depth interviews conducted with experts. As a result of confirming the hypothesis, the answers to the research questions are formulated and the results of the research are presented.

In terms of contemporary international relations, military power remains an important factor in maintaining both national and global security. In the long term, in relation to the above-mentioned issue, the implementation of any fundamental changes is practically excluded, therefore, the use of force, through hybrid methods, will remain the main tool and the main challenge in terms of security in the future.